

გარე მობილობა

29 იანვარი - 07 თებერვალი_2025

გაზაფხულის სემესტრის მობილობა - რეგისტრაცია 29 იანვარს დაიწყება და დასრულდება 07 თებერვლის 18.00 სთ-ზე.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მობილობას შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

საბაკალავრო პროგრამები:

- ბიზნესის ადმინისტრირება;
- სამართალი;
- ფარმაცია;
- სკოლამდელი განათლება (პრიორიტეტული/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამა);
- ინფორმაციული ტექნოლოგიები (მხოლოდ პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისთვის);
- საჯარო მმართველობა (პრიორიტეტული/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამა);
- ქართული ფილოლოგია (პრიორიტეტული/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამა);
- ისტორია (პრიორიტეტული/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამა);
- ინგლისური ფილოლოგია (პრიორიტეტული/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამა).

სამაგისტრო პროგრამები:

- მცირე ბიზნესის მართვა;
- ქართული ლიტერატურის ისტორია.

ხუთწლიანი ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამები:

- ვეტერინარია (პრიორიტეტული/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამა) (მხოლოდ პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტებისთვის);
- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების პროგრამა (პრიორიტეტული/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამა - ვაკანტური)

ყველა პროგრამა აკრედიტებულია.

პრიორიტეტულ/სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებზე ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციას მიიღებთ დეკანატში ან დარეკეთ ქვემოთ მითითებულ ნომერზე.

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ უნდა გაიარონ რეგისტრაცია ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე და წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;
2. სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი;
3. ატესტატი (დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი (დედანთან ერთად,);
5. ევგ სერტიფიკატის ქსეროასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის, კურსიდან კურსზე გადაყვანის ბრძანებების დამოწმებული ასლები;
7. სამხედრო მიწერის მოწმობის ქსეროასლი (ბიჭებისათვის);
8. პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ქსეროასლები.

სტუდენტის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის ასლების წარმოდგენის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 10 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით.

მობილობის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციისთვის გადადით (29 იანვრიდან) შემდეგ ბმულზე (students.emis.ge)

<https://www.youtube.com/watch?v=panQ1liWqrA> მობილობის ვიდეონსტრუქცია

ცნობისთვის დარეკეთ: 595 09 72 14; 591 32 42 42.



შიდა მობილობა

10 მარტის ჩათვლით_2025

განისაზღვრა გაზაფხულის სემესტრისთვის სტატუსის აღდგენის და შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები:

- 2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტატუსის აღდგენისა და შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა განცხადებების რეგისტრაციის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 10 მარტის ჩათვლით.
- სტატუსის აღდგენისა და შიდა მობილობის მსურველი სტუდენტებისთვის გავლილი კრედიტების აღიარების შესახებ შესაბამისი მიმართულებების ხელმძღვანელების (უფლებამოსილი პირების) მიერ დასკვნების წარმოდგენის ვადა განისაზღვრა 2025 სასწავლო წლის 13 მარტის ჩათვლით.
- სტუდენტების სტატუსის აღდგენისა და შიდა მობილობით ჩარიცხვის შესახებ რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი გაფორმდება 2025 სასწავლო წლის 17 მარტამდე.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დარეკეთ: 595 097 214; 591 32 42 42

